დრეკად ნარევთა ბრტყელი თეორიის ზოგიერთი ამოცანის ანალიზური

და მიახლოებითი ამონახსნის აგების შესახებ

რომან ჯანჯღავა

აგებულია დრეკად ნარევთა ბრტყელი თეორიის ზოგიერთი ამოცანის ანალიზური ამონახსნი. მიღებული ამონახსნების საფუძველზე, სასაზღვრო ელემენტთა მეთოდების გამოყენებით, სხვადასხვა ამოცანის მიახლოებითი ამონახსნებისთვის მიღებულია შესაბამისი წრფივი ალგებრულ განტოლებათა სისტემები. ამასთან განხილულია რიგი არაკლასიკური ამოცანა, როდესაც სხეულის საზღვარზე მოცემული კლასიკური სასაზღვრო პირობების გარდა, კმაყოფილდება სხეულის შიგნით მოცემული გარკვეული პირობები.